სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის"

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა

ოქმი N2

ქ. მცხეთა 14 ივლისი 2021

წ.

სხდომის დაწყების დრო- 12:00 სთ.

სხდომის დასრულების დრო-13:00 სთ.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. **ეკა სისაური** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე (პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენელი);
2. **თამარ თორია** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი);
3. **რევაზ სანიკიძე** -სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამსაქმებელთა წარმომადგენელი);

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:</u>

1.**თეიმურაზ ასათიანი** - სსიპ -,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" დირექტორი;

2. **ელისაბედ ებრალიძე** - სსიპ -,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" ხარისხის მართვის მენეჯერი;

4. **მარიამ ნადირაძე** - სსიპ -,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" იურისტი.

<u>სხდომას არ ესწრებოდა:</u>

1. **გელა უნდილაშვილი** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი);
2. **ნინო მნათობიშვილი** - სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამსაქმებელთა წარმომადგენელი);

დირექტორმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რომელიც გატარდა 2021 წელს.

2. სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' 2021 წლის I და II კვარტლის შუალედური ანგარიშის გაცნობა, რომელიც მოიცავს ბოლო ექვსი თვის პროცესებს : სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სასწავლო პროგრამების ავტორიზაციის პროცედურებსა და კოლეჯში განხორციელებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს;

კენჭი ეყარა წინადადებას სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის წარმართვის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 3

წინააღმდეგი: 0

სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინა: სხდომა წარიმართოს წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამსიად.

- ✓ კოლეჯის დირექტორმა, თეიმურაზ ასათიანმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რომელიც გატარდა 2021 წელს.

  კოლეჯში შეიქმნა პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა ჯგუფის

  სამუშაო პერიოდი, ასევე მოხდა შესასრულებელი სამუშაოების განხილვა და გადანაწილება თანამშრომლებზე მიმართულებების მიხედვით, დაწესებულ ვადაში მოხდა ჯგუფის მიერ პროგრამების შერჩევა და სასაბოლოო განაცხადის წარდგენა ადაპტირდა და შემუშავდა სასწავლო გეგმები, შეირჩა მასწავლებლები კონკურსის წესით, ჩატარდა ტრენინგები შერჩეულ მასწავლებლებთან. შესაბამისად მოხდა ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯში 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება

2021 წლის I და II კვარტალში კოლეჯმა უფლების მოპოვების გზით დაიმატა მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება"; სამი მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში კი მსმენელებისათვის დაიბეჭდა სერთიფიკატები და მომზადდა მისი დანართები.

დაიბეჭდა და მომზადდა 103 კურსდამთავრებული დიპლომი და მისი დანართი კოლეჯის სამივე ფილიალის ფარგლებში; გადაიხედა და შეავიდა ცვლილება კოლეჯის რამდენიმე მარეგულირებელ დოკუმენტში;

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სასწავლო პრაქტიკაზე კოლეჯის მეხილეობის სტუდენტი გაემგზავრა გერმანიაში;

კოლეჯში დაწყებულია შიდა ვერიფიკაციის პროცესი; პსდ-ს ავტორიზაციისთვის დაწყებულია მომზადება 2022 წლისათვის, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი ჩაერთო სიმულაციური მონიტორინგის პროგრამაში, განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი და ველოდებით დასკვნას.

იწყება დუალურ (აგრარული მიმართულების) პროგრამებზე შუალედური გამოცდების დაგეგმვა და მომზადება.

სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით გატარდა შემდეგი ღონისძიებები :

სკოლებში ინკლიზიური განათლების სპეციალისტებთან შეხვედრა კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

სსსმ სტუდენტების საჭიროებების კვლევა -ანალიზი, პროფესიულ მასწავლებლების და მშობლების/მეურვის ჩართულობით საჭირო ღონისძიებების დასახვა;

სსსმ სტუდენტების ჩართვა კოლეჯის ღონისძიებებში.

რეგიონის იმ სკოლების ნუსხის განსაზღვრა , სადაც სსსმ მოსწავლეები ყავთ;

სკოლის ადმინისტრაციისა და სპეც.პედაგოგებისთვის კოლეჯის პროგრამების გაცნობა;

სსსმ მოსწავლეებისთვის ექსკურსიების დაგეგმვა პროფესიების გაცნობის მიზნით;

კოლეჯში დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში სსსმ სტუდენტების ჩართვა;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 3

წინააღმდეგი: 0

სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინა:

რომ გაეცნო სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც გატარდა 2021 წელს.

კოლეჯის დირექტორმა, თეიმურაზ ასათიანმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და აღნიშნა რომ კოლეჯში სამი თვის მანძილზე მიმდინარეობდა დისტანციური სწავლება, ამისთვის ძალიან მოკლე დროში მოხდა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება, მომზადდა მასწავლებლები, თავად ადმინისტრაციის წევრები, სტუდენტები. შეიქმნა ბაზები, გადანაწილდა ფუნქციები. მოხდა მასწავლებლების მხრიდან ინფორმაციის მიღება კონკრეტული მოდულების შესახებ, ვინ როგორ და რა სახით განახორციელებდა დისტანციურ სწავლებას. და შეიძლება ითქვას რომ დისტანციური სწავლება კოლეჯში შედგა.

2021 წლის იანვრიდან დღემდე მოხდა 10 პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დასრულება, შესაბამისად მოხდა კვალიფიკაციების მინიჭება, შეფასების მტკიცებულებების საქაღალდეებში განთავსება, მათი რეგისტრაცია და არქივში გადატნა. ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ხდება მატერიალური და ადამიანური რესურსების მონიტორინგი. სხვადასხვა სემინარებში და ტრენინგებში პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების ჩართულობის უზრუნველყოფა. სამუშაო შეხვედრები კათედრებთან მიმდანე წლის სამუშაო გეგმის შემუშავების მიზნით. პედაგოგებთან, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელებთან რეგულარული შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნით ,სადაც განხილული იქნება მათი პროფესიული საქმიანობის განვითარების გზები და სიახლეების დანერგვის მეთოდები. 2021 წლის საშემოდგომო მიღების პროცესში აქტიურადაა ჩართული კოლეჯის ყველა პედაგოგი და თავისი მიმართულებით მუშაობს.

სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებების ანალიზი;

საჭირების შემთხვევაში სასწავლო პროგრამის ადაპტაცია/აკომოდაცია. და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.;

პროფფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებული სსსმ აპლიკანტებისთვის პროფესიების მოსინჯვის ორგანიზება. სტუდენტების მობილიზება დისტანციური სწავლებისთვის; მათი საჭიროებების დადგენა; თიანეთის სკოლებში ვიზიტი, სადაც პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერთან ერთად მოხდა სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინფორმირება კოლეჯში არსებული პროგრამების შესახებ; დისტანციურად ვაწვდით ინფორმაციას კოლეჯში არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით მცხეთის რაიონში მდებარე სკოლებსა და დღის ცენტრებს; საიფორმაციო ტრიპლეტზე დატანილია ინფორმაცია ინკლუზიური განათლების შესაძლებლობის შესახებ; ამ ეტაპზე კოლეჯში ირიცხება 8 სსსმ პროფესიული სტუდენტი. აქედან ერთი მეფუტკრეობის, ერთი სტილისტის, ოთხი ინფორმაციის ტექნოლოგიის, ერთი მებოსტნეობის და ერთიც სამკერვალო წარმოების პროფესიულ პროგრამაზე. საჭიროებიდან გამომდინარე სტუდენტებს კოლეჯი მცხეთიდან და მცხეთის მიმდებარე რეგიონებიდან უზრუნველყოფს ტრანსპორტირებით.

სსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის " ტერიტორიაზე, კოლეჯის განვითარების მიზნით ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები:

1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საკონფერენციო სხდომათა დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები- შემსრულებელი შპს ,,გალა + " ;

2. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ტერიტორიაზე ღობის მოწყობის სამუშაოები -შემსრულებელი შპს ,, ამაპოლა" ;

3. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი შენობის ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები - შემსრულებელი შ.პ.ს. „უნივერსალი 2017";

4. ილია წინამძღვრიშვილის მემორიალური სასაფლაოს სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები - შემსრულებელი შპს „თი ემ ეს ჭონსტრაქშენი" .

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

ეკა სისაური _____

თამარ თორია _____

რევაზ სანიკიძე _____